ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1

(ხიდების განათების მოწყობის საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ)

ქალაქ ფოთი 28. 05. ---- ----------2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ირაკლი კაკულია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი (კომისიის თავმჯდომარე);
2. **ნიკოლოზ გრიგოლია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის წევრი);
3. **მამუკა ყურუა** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
4. **თამთა დაგარგულია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის ურბანული განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი);

დღის წესრიგი:

1. 2015 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ, კერძოდ: ხიდების განათების მოწყობის პროექტირება.

განიხილეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 28 მაისის დავალების (რეზოლუცია) შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცების საკითხი;

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების, შესაბამისად, დაადგინეს:

1. გამოცხადდეს კონკურსი საპროექტო მომსახურებაზე, კერძოდ: ხიდების განათების მოწყობის პროექტირება.

2. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაცია თანახმად დანართი 1,2-ისა.

3. ხიდების განათების მოწყობის პროექტირების შესყიდვასთან დაკავშირებული საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 3000 ლარით, დღგ-ს გათვალისიწნებით.

4. საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული საკონკურსო დოკუმნეტაცია გადაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კაკულია

კომისიის წევრები: ნიკოლოზ გრიგოლია

მამუკა ყურუა

თამთა დაგარგულია